F-133
1960
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 1960 წ.

F-2401

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

85. საქართველოს სსრ სოფლის მთლიანი რადიოფიკაციის დამთავრების ზომების შესახებ.
86. შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაგზავნისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.
87. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტვირთზიდვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
88. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ივნისის № 628 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

89. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების მთავარი სამმართველოს მოწყობის შესახებ.
90. ავტომობილებისათვის საცხები მასალების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ.
91. უსინათლო და ყრუ-მუნჯ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ვადების შესახებ.
92. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ივნისის № 628 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ.

საქართ

93. საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციათა ტიპობრივი სტრუქტურის, მათი ტიპობრივი შტატებისა და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ.
94. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ.
95. გზათა სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთი ნაწილის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.
96. სამარშრუტო მსუბუქი ტაქსმოტორებით მგზავრობის ტარიფების შესახებ.
97. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ.
98. ქ. თბილისის და მისი გარეუბნის ზონის დაგეგმვისა და განაშენიანების საკითხები.
99. საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა შრომითი მოწყობის შესახებ.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 85 საქართველოს სსრ სოფლის მთლიანი რადიოფიკაციის დამთავრების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ სოფლის მთლიანი რადიოფიკაციის უზრუნველყოფას.

1960 წლის 1 იანვრისათვის მოსახლეობის 100 კაცზე რადიომიმღები წერტების რაოდენობის მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკას ყველაზე ცუდი მაჩვენებლები .ქონდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას შორის (7,82, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში იგი 16,96-ს შეადგენს).

ჯერ კიდევ მეტად დაბალია რადიოფიცირებულ საკოლმეურნეო კომლთა პროცენტი, ხოლო დასახლებული პუნქტების უზრუნველყოფა სადენის რადიოფიკაციით არ აღემატება 48 პროცენტს.

სოფლის რადიოფიკაციის 1954—1959 წლებისათვის დაწესებული გეგმა შესრულებულია მხოლოდ 57 პროცენტით, რის შედეგადაც მოსახლეობის 1.000 კაცზე მოდის 68 რადიოწერტი, ნაცვლად 117-სა საშუალოდ სსრ კავშირში.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ლენტეხის, წალკის, ვანის, ჩხოროწყუს, ახალქალაქის, ყაზბეგის, ჭიათურის, დუშეთის, თეთრიწყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონში, სადაც მოსახლეობის 1.000 კაცზე 12—46 რადიოწერტი მოდის.

მთელ რიგ რაიონებში ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეობების მიერ რადიოფიკაციის საკუთარი მეურნეობის ტექნიკური და საექსპლუატაციო მომსახურება. ბევრ დასახლებულ პუნქტში გასანათებელი ქსელის მეურნეობა, რომელსაც რადიოაპარატურის, კვანძების ელექტროკვებისა და რადიოფიკაციის სადენების დასაკიდებლად იყენებენ, ავარიულ მდგომარეობაშია.

მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებზე ირიცხება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოფიკაციის სამ-

შენებლო-სამონტაჟო სამმართველოსადმი დავალიანება 1.000 ათას-მანეთზე მეტი რაოდენობით ჯერ კიდევ 1957—1959 წლებში შესრულებული სამუშაოებისათვის.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები სათანადო დახმარებას არ უწევენ, არ იჩენენ ინიციატივასა და სიმტკიცეს სოფლის რადიოფიკაციის განვითარებისათვის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და კავშირგაბმულობის სამინისტრო შესაბამის მუშაობას არ ეწევიან, რათა მოამზადონ და გამოიყენონ კვალიფიციური კადრები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რადიოკვანძებისათვის. საკოლმეურნეო რადიოკვანძები არ არიან უზრუნველყოფილი მათი რემონტისათვის საჭირო მასალებითა და სათადარიგო ნაწილებით. ამის შედეგად, დიდძალი რადიოკვანძი შეფერხებით მუშაობს, რაც იწვევს მოსახლეობის მასობრივ საჩივრებს და რადიოწერტების მკვეთრად შემცირებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საკმაო დახმარებას არ უწევს სოფლის რადიოფიკაციისა და ელექტროფიკაციის ობიექტების მშენებლობის უზრუნველყოფას მასალებით.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო საჭირო ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ ჯეროვან ტექნიკურ წესრიგზე მოიყვანონ რესპუბლიკის სოფლის ენერგომეურნეობა, რომელიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რადიოფიკაციის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს რადიოსატრანსლაციო წერტების განვითარების გეგმა 1960—1965 წლებისათვის, დანართის თანახმად.

2. ვინაიდან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს რადიოს, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საშუალებას, დაევალოთ პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამის აღმასკომებს განიხილონ სოფლის რადიოფიკაციის განვითარების საკითხი, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ამ საქმეში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სისტემატურად აღმოფხვრას, უზრუნველყონ რადიოფიკაციის განვითარების დაწესებული გეგმის შესრულება; ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირგაბმულობის სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს რადიოკვანძების მშენებლობისა და მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში; გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, რათა მაქსიმალურად მოიცვას საკოლმეურნეო კომლები სადენის რადიოფიკაციამ.

3. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ:

ა) გააძლიეროს კონტროლი საკოლმეურნეო კვანძების არსებული სახაზო-სასადგურო მეურნეობის ტექნიკური მდგომარეობისადმი და, კოლმეურნეობებთან სახელშეკრულებო საფუძველზე, უზრუნველყოს რადიოფიკაციის სასადგურო და სახაზო მეურნეობის რემონტის სამუშაოები კოლმეურნეობათა მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯზე;

ბ) ყოველწლიურად ლიმიტგარეშე კაპიტალდაბანდებათა გეგმით აწარმოოს სოფლად რადიოფიკაციის მეურნეობის რეკონსტრუქცია საკოლმეურნეობათაშორისო რადიოკვანძების შექმნისა და მსხვილი კვანძწარმოქმნის გზით, წვრილი და მცირეძალოვანი რადიოკვანძების ლიკვიდაციის ხარჯზე;

გ) უზრუნველყოს 1961—1964 წლებში რადიომაუწყებლობის პროგრამების მიწოდება თბილისიდან სადენებით ყველა რადიოკვანძისათვის რაიონულ ცენტრებში;

დ) გადასცეს საექსპლუატაციოდ 1962 წელს უკვ-ჩმ-გადამცემი ქ. ქუთაისში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაღალხარისხოვანი რადიომიღება დასავლეთ საქართველოში;

ე) 1962 წლის დამლევამდე მოაწყოს უკვ-ჩმ-მაუწყებლობის პროგრამების მიღება უკვ-ჩმ-გადამცემების მოქმედების ზონაში კოლმეურნეობებისა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ყველა რადიოკვანძზე;

ვ) სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს განაცხადებით ყოველწლიურად განახორციელოს რადიოკვანძების ექსპლუატაციის დარგის სპეციალისტთა მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ჩაატაროს 1961 წელს იმ პირთა კვალიფიკაციის შემოწმება, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რადიოკვანძების ექსპლუატაციას, და არავინ არ დაუშვას 1962 წლიდან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რადიოკვანძების ექსპლუატაციის სამუშაოებზე საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალურად საამისო პერსონალური ნებართვის გარეშე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) გაითვალისწინოს, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ყოველწლიური გეგმებით გამოუყოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საჭირო მასალები, მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები რესპუბლიკის რადიოფიკაციის საშუალებათა მშენებლობის, რემონტის და ექსპლუატაციის გეგმის შესასრულებლად;

ბ) გამოუყოს 1961 წელს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მიზნობრივი დანიშნულებით რადიოფიკაციისათვის 342 ტონა სახაზო მავთული.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შეისწავლონ საკითხი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაინერგოს სამრეწველო წარმოებაში და გამოყენებულ იქნას ორპროგრამიანი მიმღებ-რეპროდუქტორები ნახევარგამტარებზე ანტენურ მოწყობილობასთან კომპლექტურად.

6. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ ყოველწლიურად გამოუყოს კოლმეურნეობებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს განაცხადით სესხი მიზნობრივი დანიშნულების რადიოფიკაციის იმ სამუშაოთა დასაფინანსებლად, რომლებიც ხორციელდება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულებებით.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მოიყვანონ 1961—1962 წლებში თავიანთ სისტემაში სათანადო ტექნიკურ მდგომარეობაში ენერგომეურნეობის საშუალებანი და ნორმალურად უზრუნველყონ კოლმეურნეობების და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ყველა რადიოკვანძი ელექტროენერგიით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი კოლ-

ბიბლიოთეკა

მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიანი ელექტრო-ფიკაციის დამთავრების შესახებ.

9. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული სამინისტროები სუსტად ეწევიან სოფლის რადიოფიკაციას.

10. დაევალოთ აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს სასტიკი კონტროლი გაუწიონ რადიოფიკაციის ქსელის განვითარებას, განსაკუთრებით სოფლად, და კვარტალში ერთხელ მაინც მოისმინონ კავშირგაბმულობის კანტორების უფროსების და კოლმეურნეობათა წარმომადგენლების ინფორმაცია რადიოწერტების ზრდის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ამასთან დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებული გეგმის წარმატებით შესრულებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 18 ოქტომბერი № 746

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 18 ოქტომბრის № 746
დადგენილების დანართი

# გეგმა

## რადიოწერტების ზრდისა სოფელ ადგილებში (მიმღებ-რეპროდუქტორების გათვალისწინებით) 1960—1965 წლებისათვის

| | არის რადიო-წერტები 1960 წ. 1 იან-ვრისათვის | სულ 1960—1965 წლებისათვის | აქედან წლები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1960 | 1961 | 1962 | 1963 | 1964 | 1965 |
| **კავშირგაბმულობის რაიონული კანტორები** | | | | | | | | |
| 1. აბაშა | 3005 | 3590 | 150 | 330 | 500 | 700 | 900 | 1000 |
| 2. ამბროლაური | 3700 | 3300 | 130 | 500 | 470 | 635 | 805 | 960 |
| 3. ადიგენი | 490 | 2000 | 110 | 190 | 290 | 380 | 470 | 560 |
| 4. ასპინძა | 445 | 1460 | 100 | 130 | 210 | 280 | 345 | 395 |
| 5. ახმეტა | 2874 | 4680 | 160 | 400 | 850 | 1090 | 1000 | 1180 |
| 6. ახალქალაქი | 311 | 6940 | 350 | 1854 | 1578 | 1322 | 1066 | 770 |
| 7. ახალციხე | 1929 | 3400 | 200 | 400 | 500 | 600 | 800 | 900 |
| 8. ბორჯომი | 990 | 1800 | 110 | 180 | 280 | 340 | 410 | 480 |
| 9. ბოგდანოვკა | 1447 | 2740 | 270 | 840 | 860 | 230 | 260 | 280 |
| 10. ბოლნისი | 2119 | 2900 | 1250 | 600 | 500 | 300 | 150 | 100 |
| 11. ვანი | 807 | 6127 | 200 | 500 | 1027 | 1200 | 1400 | 1800 |
| 12. გეგეჭკორი | 4257 | 2745 | 130 | 260 | 390 | 530 | 670 | 765 |
| 13. გორი | 9504 | 5200 | 300 | 500 | 700 | 900 | 1300 | 1500 |
| 14. გურჯაანი | 5582 | 3400 | 250 | 370 | 500 | 620 | 760 | 900 |
| 15. დმანისი | 951 | 3160 | 150 | 300 | 400 | 600 | 800 | 910 |
| 16. დუშეთი | 820 | 1870 | 170 | 180 | 300 | 300 | 300 | 320 |
| 17. ზესტაფონი | 1663 | 6300 | 400 | 700 | 900 | 1100 | 1500 | 1700 |
| 18. ზუგდიდი | 4702 | 5000 | 550 | 650 | 800 | 900 | 980 | 1120 |
| 19. კასპი | 4704 | 3500 | 200 | 350 | 510 | 660 | 800 | 980 |
| 20. ქარელი | 4398 | 1860 | 130 | 200 | 300 | 400 | 500 | 330 |
| 21. ყაზბეგი | 284 | 1300 | 190 | 180 | 220 | 230 | 220 | 260 |
| 22. ყვარელი | 3706 | 2800 | 300 | 370 | 440 | 510 | 580 | 600 |
| 23. ლაგოდეხი | 3441 | 3300 | 110 | 290 | 450 | 660 | 880 | 990 |
| 24. ლენტეხი | 130 | 1500 | 280 | 250 | 260 | 250 | 280 | 180 |
| 25. ლანჩხუთი | 4647 | 2030 | 200 | 250 | 300 | 350 | 480 | 500 |
| 26. მაიაკოვსკი | 1418 | 3790 | 370 | 480 | 586 | 674 | 790 | 890 |
| 27. მარნეული | 3167 | 4700 | 210 | 430 | 670 | 910 | 1130 | 1350 |
| 28. მახარაძე | 7199 | 3200 | 350 | 425 | 497 | 570 | 644 | 714 |
| 29. მესტია | 665 | 1000 | 250 | 270 | 140 | 110 | 110 | 120 |
| 30. მცხეთა | 1865 | 3020 | 150 | 290 | 430 | 580 | 720 | 850 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | არის რადიო-წერტილები 1961 წ. 1 იან-ვრისათვის | სულ 1960—1965 წლებისათვის | აქედან წლები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1960 | 1961 | 1962 | 1963 | 1964 | 1935 |
| 31. ონი | 2195 | 1855 | 100 | 180 | 260 | 350 | 435 | 530 |
| 32. ორჯონიკიძე | 2020 | 5130 | 380 | 572 | 756 | 950 | 1144 | 1328 |
| 33. ფოთი | 355 | 770 | 50 | 100 | 110 | 150 | 160 | 200 |
| 34. რუსთავი | 589 | 4000 | 200 | 400 | 600 | 1100 | 1000 | 800 |
| 35. საგარეჯო | 3862 | 4400 | 350 | 500 | 700 | 900 | 1100 | 850 |
| 36. სამტრედია | 1689 | 6600 | 750 | 1000 | 1200 | 1300 | 1400 | 950 |
| 37. საჩხერე | 1290 | 3610 | 150 | 330 | 510 | 670 | 890 | 1060 |
| 38. სიღნაღი | 4224 | 4000 | 120 | 300 | 500 | 800 | 1100 | 1180 |
| 39. თელავი | 3722 | 3130 | 180 | 900 | 500 | 650 | 750 | 750 |
| 40. თეთრიწყარო | 638 | 4000 | 260 | 420 | 560 | 760 | 920 | 1080 |
| 41. თერჯოლა | 1332 | 5330 | 230 | 550 | 800 | 1000 | 1300 | 1350 |
| 42. თიანეთი | 702 | 1940 | 290 | 350 | 300 | 300 | 400 | 300 |
| 43. ტყიბული | 665 | 3500 | 120 | 400 | 600 | 700 | 700 | 880 |
| 44. ხაშური | 1516 | 3700 | 270 | 400 | 500 | 680 | 830 | 1020 |
| 45. ხობი | 1268 | 3000 | 380 | 400 | 450 | 550 | 600 | 620 |
| 46. ცაგერი | 1177 | 2500 | 140 | 200 | 300 | 500 | 600 | 760 |
| 47. წალკა | 550 | 5000 | 100 | 400 | 700 | 1000 | 1350 | 1450 |
| 48. წალენჯიხა | 2160 | 2400 | 110 | 200 | 300 | 500 | 600 | 690 |
| 49. წითელწყარო | 3604 | 1940 | 130 | 210 | 290 | 370 | 440 | 500 |
| 50. წულუკიძე | 1102 | 3100 | 170 | 325 | 470 | 595 | 740 | 800 |
| 51. წყალტუბო | 2655 | 6100 | 360 | 740 | 1000 | 1500 | 1500 | 1000 |
| 52. ცხაკაია | 1364 | 3600 | 150 | 375 | 645 | 840 | 1065 | 525 |
| 53. ჭიათურა | 48 | 5300 | 20 | 470 | 700 | 1000 | 1000 | 2110 |
| 54. ჩოხატაური | 2328 | 4000 | 110 | 330 | 556 | 929 | 985 | 1090 |
| 55. ჩხოროწყუ | 772 | 3400 | 230 | 400 | 770 | 800 | 900 | 300 |
| **კავშირგაბმულობის საოლქო კანტორები** | | | | | | | | |
| 56. აფხაზეთი | 11498 | 25473 | 1070 | 1335 | 5000 | 5865 | 6600 | 5603 |
| 57. აჭარა | 10167 | 8420 | 800 | 1320 | 1200 | 1800 | 2200 | 1000 |
| 58. სამხრეთ ოსეთის ა/ო | 5654 | 11623 | 650 | 1875 | 2065 | 3270 | 2970 | 793 |
| 59. თბილისი | 3053 | 312 | 230 | 388 | 1234 | 716 | 254 | 260 |
| სულ | 154216 | 239600 | 15910 | 27214 | 39864 | 44039 | 55303 | 53133 |

**86** შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაგზავნისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 სექტემბრის № 1049 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ შეიქმნას საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების იმ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება ლითონის ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით, რომლებიც უშუალოდ ეწევიან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვებას, შენახვას, ჩაბარებასა და გაგზავნას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნას საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების იმ მუშაკთა დაჯილდოება, რომლებიც უშუალოდ ეწევიან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვებას, შენახვას, ჩაბარებასა და გაგზავნას, ლითონის ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმ პირობით, თუ შესრულებულია შავი ლითონის ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნის გეგმა და ფერადი ლითონების ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნის გეგმა, — ლითონის ჯართის რეალიზაციისაგან მიღებული თანხების ანარიცხების ხარჯზე.

ლითონის ჯართის რეალიზაციისაგან მიღებული თანხებიდან დაჯილდოებისათვის ანარიცხები იწარმოებს შემდეგი ოდენობით:

ა) შავი ლითონის ჯართისა და ნარჩენებისათვის, როდესაც ჩაბარების გეგმა 10 ათას ტონამდეა წელიწადში — 2 პროცენტი და როდესაც ჩაბარების გეგმა 10 ათას ტონაზე მეტია წელიწადში — 1,4 პროცენტი;

ბ) ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენებისათვის — 1 პროცენტი.

მუშაკთა დაჯილდოება მოხდეს შემდეგი ოდენობით: ლითონის ჯართის გაგზავნის თვიური გეგმის შესრულებისათვის — სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) 15 პროცენტამდე, ლითონის ჯართის გაგზავნის თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის — სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) 2 პროცენტამდე.

2. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ლითონის ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დასაჯილდოებელი მუშაკების თანამდებობათა ნუსხა, დანართის თანახმად.

3. დაწესდეს საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სამკურნალო დაწესებულებების, სასწავლებლების, სახლმმართველობების და სხვა ანალოგიური საწარმოების, მეურნეობების და ორგანიზაციების იმ მუშაკთა დაჯილდოება, რომლებიც უშუალოდ ეწევიან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვებას, შენახვას, ჩაბარებას და გაგზავნას, — ლითონის ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნისათვის ანარიცხების ხარჯზე, შავი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რეალიზაციისაგან მიღებული თანხების 50 პროცენტამდე და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რეალიზაციისაგან მიღებული თანხების 30 პროცენტამდე.

4. მოხდეს საბჭოთა ორგანიზაციების იმ მუშაკების დაჯილდოება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, გადამუშავების და გაგზავნის ორგანიზაციის დროს, იმ თანხების ხარჯზე, რომლებსაც ყოველთვიურად გადაურიცხავს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული მეორადი შავი და ფერადი ლითონების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ლითონის იმ ჯართის ღირებულების 1,4 პროცენტის ოდენობით (დასამზადებელ ფასებში), რომელიც საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ტერიტორიაზე არსებულმა საწარმოებმა და მეურნეობებმა ჩააბარეს სახელმწიფო გეგმის ანგარიშში, და წვრილი შეგროვების წესით დამზადებული ლითონის ჯართის ღირებულების (დასამზადებელ ფასებში) 1,3 პროცენტის ოდენობით.

5. მოხდეს სასოფლო კოოპერატივებისა და რაიკოოპკავშირების, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქმეორნედლეულის რესპუბლიკური კანტორის დამამზადებელი პუნქტებისა და კანტორების შემგროვებელთა და მუშაკთა დაჯილდოება, რომ-

ლებიც უშუალოდ ეწევიან შავი და ფერადი ლითონების საყოფაცხოვრებო ჯართისა და ნარჩენების დამზადებას მონაწილეობისათვის, იმ თანხების ხარჯზე, რომლებსაც ყოველკვარტალურად გადაურიცხავს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული მეორადი შავი და ფერადი ლითონების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების სამმართველო ცეკავშირს, აჭარკოოპკავშირს, აფხაზკოოპკავშირს, საოლქო სამომხმარებლო კავშირს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოსთან არსებულ საქმეორნედლეულის რესპუბლიკურ კანტორას დაწესებული გეგმის ანგარიშში ჩაბარებული შავი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ღირებულების (დასამზადებელ ფასებში) 1,8 პროცენტის ოდენობით და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ღირებულების (დასამზადებელ ფასებში) 0,5 პროცენტის ოდენობით.

6. დაწესდეს, რომ პრემიის საერთო თანხა, რაც ამ დადგენილების შესაბამისად მიეცემა სახელმწიფო საწარმოს, მეურნეობის ან ორგანიზაციის ერთ მუშაკს, თვეში არ უნდა აღემატებოდეს სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) 25 პროცენტს, ხოლო იმ მუშაკებისათვის, რომლებიც ეწევიან მხოლოდ ლითონის ჯართის შეგროვებას და გაგზავნას და რომლებიც არ იღებენ პრემიას სხვა გადაწყვეტილებების შესაბამისად, — სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) 40 პროცენტს.

პრემიები ლითონის ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნისათვის გაიცეს იმ პრემიების დამოუკიდებლად, რომლებიც გაიცემა სხვა გადაწყვეტილებათა შესაბამისად, და პრემიების დაწესებული მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით, აგრეთვე საწარმოში, მეურნეობასა და ორგანიზაციაში ხელფასის ფონდის ხარჯვის მდგომარეობის დამოუკიდებლად.

7. ეცნობოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ზემოაღნიშნული დადგენილებით დაავალეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენ-

ტრალურ საბჭოსთან ერთად, ორი კვირის ვადაში დაამტკიცონ დებულება შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შენახვის, ჩაბარებისა და გაგზავნისათვის საწარმოების, მეურნეობების და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

8. დაწესდეს, რომ საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოება შავი და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენების შეგროვების, შენახვის, ჩაბარებისა და გაგზავნისათვის შემოღებულია ვადით 1963 წლის 1 იანვრამდე.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1960 წ. 7 დეკემბერი № 825

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 7 დეკემბრის № 825
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**მუშაკთა თანამდებობებისა, რომლებიც დაჯილდოებული იქნებიან საქართველოს სს რესპუბლიკაში ლითონის ჯართის ჩაბარებისა და გაგზავნის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის**

იმ საწარმოების (მეურნეობების) დირექტორები და დირექტორების მოადგილეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ჯართის შეგროვებისა, გადამუშავებისა და გაგზავნისათვის.

მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მთლიანად საწარმოსა და საამქროებში ჯართის შეგროვებისა, შენახვისა და გაგზავნისათვის.

გასაღებისა და მომარაგების განყოფილებათა უფროსები.

საურნალე, დაცალკევების, საეზოე, საუტილიზაციო, სატრანსპორტო საამქროების უფროსები და მათი მოადგილეები.

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და გაგზავნის საამქროების ოსტატები, მექანიკოსები, პიროტექნიკოსები.

საურნალე, დაცალკევების, საეზოე, საუტილიზაციო და სატრანსპორტო საამქროების ბრიგადირები, მუშები.

პაკეტირების და ბრიკეტირების წნეხების მემანქანეები; მუშები, რომლებიც მომსახურებას უწევენ სხვა ჯართგადამმუშავებელ მექანიზმებს.

ელექტროამწეების, საავტომობილო და მუხლუხა ამწეების მემანქანეები და მენივნიკეები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ჯართგადამმუშავებელ მექანიზმებს, და რომლებიც ეწევიან ლითონის ჯართის დატვირთვა-გადმოტვირთვას.

ლითონის ჯართის შეგროვების, გადამუშავებისა და გაგზავნის საამქროების მიმღებები, მწონავები, მეკუჭნავეები და დამლაგებლები.

**შენიშვნა:** დირექტორების პრემიებს დაამტკიცებს ზემდგომი ორგანიზაცია.

## 87 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტვირთზიდვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც სატვირთო ავტოტრანსპორტი საერთო სარგებლობის ტრანსპორტად გაერთიანდა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ახალი ავტოსატრანსპორტო კანტორები მოაწყო რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონულ ცენტრებში. გაუმჯობესდა სატვირთო საავტომობილო პარკის ტექნიკური მდგომარეობა. ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი შეადგენს 0,74-ს, ნაცვლად 0,69-სა 1959 წელს. ერთი ტონა ტვირთამწეობაზე საშუალო მწარმოებლობა გადიდდა 19 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობა.

ამასთან ერთად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობათა მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო სრულად ვერ იყენებს გამსხვილებულ და სპეციალიზებულ ავტომეურნეობათა დიდ შესაძლებლობასა და რეზერვებს, რის შედეგა-

მუხ. 87
ბიბლიოთეკა

დაც მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მომსახურებას არადამაკმაყოფილებლად წარმოებს.

ტვირთზიდვის 1960 წლის 9 თვის გეგმა სამინისტროს ხაზით შესრულებულია ტონობით მხოლოდ 93,8 პროცენტით და ტონაკილომეტრობით — 99,4 პროცენტით, ხოლო ცენტრალიზებული ტვირთზიდვისა — შესაბამისად 102,7 პროცენტით და 100,1 პროცენტით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მომსახურების ობიექტების საერთო რაოდენობიდან — 62 სამინისტროდან და უწყებიდან ტვირთზიდვის 1960 წლის 9 თვის გეგმა არ შეუსრულებიათ: ტონობით — 29 და ტონაკილომეტრობით — 35 სამინისტროსა და უწყებას. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით ტვირთზიდვის გეგმის შესრულება შეადგენს ტონობით 83,8 პროცენტს და ტონაკილომეტრობით — 103,9 პროცენტს, მთავართბილმშენის ხაზით — შესაბამისად 72,7 პროცენტს და 78,4 პროცენტს, ტრესტ ახალციხქვანახშირის ხაზით — 52,8 პროცენტს და 71,2 პროცენტს, ტრესტ მთამადნმრეწვის ხაზით — 71,7 პროცენტს და 73,5 პროცენტს.

არ სრულდება მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთის — ხე-ტყის, ბარიტის, მარმარილოს და სხვა მასალების გადაზიდვის გეგმები. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ტვირთის გადაზიდვა წვრილ პარტიებად.

ტვირთზიდვის გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ ავტოსატრანსპორტო კანტორაში უხეშად ირღვევა ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საავტომობილო პარკის მზადყოფნის საკითხებს, თავის დროზე არ წარმოებს, ზოგჯერ კი სრულიადაც არ ტარდება გეგმურ-გამაფრთხილებელი რემონტის გრაფიკით გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურება.

ავტოსატრანსპორტო კანტორების უმეტესობა მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ და კეთილმოუწყობელ შენობებში. დაბალია ავტომეურნეობათა ტექნიკური შეჭურვილობა.

ტვირთზიდვის გეგმის არადამაკმაყოფილებელი შესრულება კიდევ იმითაც არის გამოწვეული, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობებში ავტოსადგურების უქონლობის გამო გამცდარია 2.300 სატვირთო ავტომანქანა, ანუ მთელი პარკის 16 პროცენტი.

არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს თვით ტვირთზიდვის გეგმვასაც.

ზოგიერთი ობიექტის მიხედვით ტვირთზიდვის წლიური გეგმები შესრულებულია 5—6 თვის განმავლობაში და ეს იმ დროს, როდესაც ობიექტებზე შესასრულებელ სამუშაოთა დიდი მოცულობა პრაქტიკულად არ არის უზრუნველყოფილი ტრანსპორტით.

მაგალითად, 1960 წლის 9 თვის განმავლობაში, როდესაც ტვირთზიდვის გეგმა ითვალისწინებდა განათლების სამინისტროსათვის 18,4 ათას ტონას, ფაქტიურად გადაზიდულია 96,4 ათასი ტონა, ანუ ხუთჯერ მეტი, ვიდრე ნავარაუდევი იყო; ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსათვის გადაზიდულია 1.627 ათასი ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 897 ათასი ტონისა, ანუ ერთიორად და უფრო მეტი; წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის — 967 ათასი ტონა, დაგეგმილი 810 ათასი ტონის ნაცვლად; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პურეულის პროდუქტების მთავარ სამმართველოსათვის — 211 ათასი ტონა, ნაცვლად ტვირთზიდვის გეგმით გათვალისწინებული 91 ათასი ტონისა, და ა. შ.

არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობათა ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო ტვირთი (ბოსტნეული, ხილი, ყურძენი, ცხვარი და სხვ.) არ არის გათვალისწინებული ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმით.

ქუთაისის, ქარელის, სიღნაღის, ხაშურის, ზუგდიდის და სხვა ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების საზიანოდ ეწევიან გეგმით გაუთვალისწინებელი ტვირთის გადაზიდვას, რასაც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ყურადღებას არ აქცევს.

საკმაო ყურადღება არ ექცევა მუშაობის უახლესი მიღწევებისა და მეთოდების დანერგვა-გამოყენების საკითხებს. საკმაოდ არ არის მოწყობილი ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვა და ყველა სახის ტვირთის გადაზიდვა რკინიგზის სადგურებიდან მომხმარებლებამდე. სუსტად მიმდინარეობს ავტომისაბმელების გამოყენება, არ გავრცელებულა ტვირთის გადაზიდვა ავტომატარებლებით, სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, უწყებები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები სუსტად მუშაობენ იმ ორგანიზაციების, საწარმოების საკითხებზე, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ტვირთის ცენტრალიზებულ გადაზიდვას.

დადგენილების მიუხედავად, საავტომობილო ტრანსპორტის [illegible] მინისტრო ხელს უშლის იმას, რომ ზოგიერთ ორგანიზაცი[illegible]ცეს სატვირთო ავტომანქანები იჯარით, საათობრივი ანაზღაურებისა და ტვირთის გადაზიდვისათვის აზომვის აქტების მიხედვით.

ზოგიერთ სამინისტროსა და უწყების მხრივ სატვირთო ავტოტრანსპორტის მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ანალიზისა და კონტროლის შედეგად, ადგილი აქვს დიდ დამახინჯებებს და შეუსრულებელ სატრანსპორტო სამუშაოთა მინაწერებს, რის გამო დგება ფიქტიური ცნობები ტვირთზიდვის გეგმების შესრულების შესახებ. მაგალითად, ქ. თბილისის მარტო 9 ორგანიზაციაში 1959 წლის IV კვარტალიდან 1960 წლის ოქტომბრამდე გამოვლინებულია სატრანსპორტო სამუშაოების გადიდება 211,5 ათასი ტონით 3,5 მილიონ მანეთზე მეტი რაოდენობით. მიუხედავად ამისა, არ ყოფილა მიღებული მკაცრი ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც დანაშაული მიუძღვით მინაწერების ჩადენაში.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება (ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და სხვ.) არადამაკმაყოფილებლად ასრულებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 954 დადგენილებას და მათ დღემდეც არ ჩაუბარებიათ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის დიდძალი ავტომანქანა.

შესრულებული არ არის დადგენილების ის ნაწილიც, რომელიც შეეხება გარაჟებისა და სახელოსნოების გადაცემას მთელი შენობებით, ნაგებობებით, მოწყობილობით, საბრუნავი სახსრებით, საამორტიზაციო ანარიცხებით ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტისათვის.

1960 წლის 1 ნოემბრისათვის სამინისტროებსა და უწყებებს არ ჩაუბარებიათ 11 გარაჟი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ქ. თბილისში მოწყობილი ოთხი საექსპლუატაციო სამმართველო, მათი სიშორის გამო, არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს დაქვემდებარებული ავტომეურნეობების საქმიანობისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობას.

ავტომეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები სუსტად სწავლობენ და კონტროლს არ უწევენ ადმინისტრაციის სამეურნეო

საქმიანობას, არ ეწევიან საჭირო აღმზრდელობით მუშაობას, არა-საკმაოდ იბრძვიან შრომითი და საწარმოო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომეურნეობათა შემდგომ გამსხვილებას და სპეციალიზაციას, როგორც ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით, ისე მომსახურების ობიექტების მიხედვითაც;

ბ) უზრუნველყოს ავტომანქანების კაპიტალური რემონტის ვადების მაქსიმალურად შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში, აგრეთვე მანქანების დროულად გადაცემა საექსპლუატაციოდ;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ავტობაზების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, არ დაუშვას სახსრების დაქსაქსვა, მიაღწიოს ახალი ბაზების მშენებლობის და არსებული ბაზების რეკონსტრუქციის დაჩქარებას;

დ) სისტემატურად იმუშაოს ავტოსატრანსპორტო კანტორების სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე, შეისწავლოს ცალკეული ავტოსატრანსპორტო კანტორების მიერ გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები და განახორციელოს ღონისძიებანი მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ავტოსატრანსპორტო ტექნიკური ექსპლუატაციის, ავტობაზების შეჭურვილობის, ტვირთზიდვის ავტოტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესებისათვის და უზრუნველყოს გეგმების უცილობლივ შესრულება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით;

ე) საწარმოთა და ორგანიზაციათა ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად შემოიღოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, სატვირთო ავტომანქანების მიმაგრება სახელშეკრულებო საფუძვლებზე, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად;

ვ) მაქსიმალურად დანერგოს ავტომეურნეობებში ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ყველაზე მოწინავე ავტომეურნეობათა უახლესი მიღწევები და მეთოდები, განაგრძოს მუშაობა ცენტრალიზებუ-

ლი ტვირთზიდვის ქსელის გაფართოებისათვის; დანერგოს და ფართოდ გაავრცელოს საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის გამოცდილება. სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებმა მოამზადონ საწარმოები ცენტრალიზებული ტვირთზიდვის ორგანიზაციისათვის.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 954 დადგენილების 1 მუხლის დანართის დამატებით, დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიმდინარე წლის დამლევამდე გადასცეს „გაზ-51“ და „გაზ-93“ მარკის სატვირთო ავტომანქანები:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს — 140 ავტომანქანა საბჭოთა მეურნეობებისა და სანერგეების საჭიროებისათვის;

ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს—450 ავტომანქანა საბჭოთა მეურნეობების, სანერგეების, სამანქანო-სამელიორაციო სადგურების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების სასწავლო მეურნეობების, საცდელი სადგურების და დასაყრდენი პუნქტების საჭიროებისათვის;

გ) ყველა სასწავლებელს, რომელთა სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულია მძღოლების მომზადება.

ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ორგანიზაციებისათვის ავტომანქანების გადაცემის დროს ჩაუთვალოს სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა, რომლებიც უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ არ გადაუციათ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ტვირთზიდვის 1961 წლის გეგმებსა და შემოსავალ-გასავლის ბალანსში ცვლილებანი ამ დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს გააძლიერონ კონტროლი ტექნოლოგიური და სპეციალური მანქანების სწორი ექსპლუატაციისადმი. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად დააზუსტონ და მიმდინარე წლის დამლევამდე ჩააბარონ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ის სატვირთო ავტო-

F-2401

მობილები, რომლებიც გაერთიანებულ უნდა იქნან საერთო სარგებლობის ტრანსპორტად.

4. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 954 დადგენილების შესაბამისად, ორი დეკადის ვადაში გადასცენ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გარაჟები და სახელოსნოები მთელი შენობებით, მოწყობილობით, საბრუნავი სახსრებით, საამორტიზაციო ანარიცხებით ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად, შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია მოეწყოს ზოგიერთი სახის ტვირთის (აგურის, ინერტული და სხვა საშენი მასალების) გადაზიდვა ღამით და წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) ტვირთზიდვის გეგმების შედგენისას უფრო სრულად გაითვალისწინონ ნამდვილი მოთხოვნილება ტვირთის გადაზიდვაზე;

ბ) ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის დამატებითი კაპიტალდაბანდებების გამოყოფის შესახებ.

7. იმ მიზნით, რომ დაუახლოვდეს ხელმძღვანელობა ავტოსატრანსპორტო კანტორებს, მოეწყოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქ. თბილისში არსებული ოთხი საექსპლუატაციო სამმართველოს ნაცვლად, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის, სამეურნეო ანგარიშის ექვსი საწარმოო ტრესტი, აქედან თითო ტრესტი ქალაქ სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში გამოყონ ქალაქ სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში

სათანადო სადგომები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოო ტრესტებისათვის.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის, საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, ავტობაზების პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ავტოტრანსპორტის მუშაკთა შორის, ამასთან წარმართონ ყველა რგოლის საქმიანობა ავტოტრანსპორტელთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ.

9. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ავტოტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის არსებული წესების დამრღვევთა წინააღმდეგ, სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც დაუშვებენ ტვირთის გადაზიდვას ავტოტრანსპორტით სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების უქონლად და ამით ხელს შეუწყობენ შეუსრულებელ სამუშაოებზე მინაწერების დაშვებას;

ბ) გააუმჯობესონ ავტოსატრანსპორტო კანტორების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლონ მათი როლი და აქტივობა საწარმოო ცხოვრებაში, გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა ავტომეურნეობების მუშაკთა შორის.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1960 წ. 7 დეკემბერი № 826.

**88** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ივნისის № 628 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ**

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ივნისის № 628 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წლის 22 იანვარს „სსრ

კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ მიღებულ № 87 დადგენილებასთან დაკავშირებით“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მუხლები 2, 4, 10, 12, 13 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 28 სექტემბრის № 1245 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1945 წლის 22 აგვისტოს „ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთა მიერ ფართო მოხმარებისა და სასურსათო საქონლის გამოშვების გადიდების ღონისძიებებზე“ მიღებული № 2139 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 14 მარტის № 335 დადგენილება „1945 წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სათადარიგო ნაწილების დამზადების გეგმის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 17 მაისის № 572 დადგენილება „1945 წლის მოსავლის პურის მისაღებად „ოუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის ტექნიკური ბაზისა და „გლავმუკას“ საქართველოს ტრესტის საწარმოთა მომზადების შესახებ“.

4. მუხლები 1 და 4 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 26 მაისის № 642 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 9 აპრილის № 735, 1945 წლის 13 აპრილის № 752 და 1945 წლის 16 აპრილის № 775 დადგენილებათა განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 20 ივლისის № 887 დადგენილება „ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოების 1945 წლის III კვარტალის გეგმის შესახებ“.

6. მუხ. 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 23 აპრილის № 359 დადგენილებისა „1947 წლის ნავიგაციის დროს ხე-ტყის დაცურების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

7. მუხ. 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 8 აპრილის № 390 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველკარაქის მრეწველობის მუშაობის ნაკლოვანებებისა და კარაქის და ყველის წარმოების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 7 დეკემბერი № 828

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

ა) განსახილველი საქმის ვითარების გამოსარკვევად გამოუძახოს მოდავე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მათ მიმართ ზემდგომი ორგანოების, აგრთვე იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების თანამდებობის პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ მხარეებს საქმის გამო, მაგრამ რომელთა წარმომადგენლების ახსნა-განმარტება საჭიროა დავის გადასაჭრელად;

ბ) მოთხოვოს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ისეთი დოკუმენტების, ცნობებისა და დასკვნების წარდგენა, რომლებიც საჭიროა დავის გადასაჭრელად;

გ) დანიშნოს ექსპერტიზა.

დ) შეამოწმოს საჭიროების დროს უშუალოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში განსახილველი საქმის მასალები და გარემოებანი.

10. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ცნობილი არიან მოპასუხეებად ან თანამოპასუხეებად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ განსახილველი დავის გამო, მოვალენი არიან საქმის მოსმენის დღის შესახებ უწყების მიღების შემდეგ გაუგზავნონ არბიტრაჟს, ასლი კი—მესარჩელეს, განმარტება სარჩელის გამო და დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა საბუთი, აგრეთვე მიავლინონ პასუხისმგებელი წარმომადგენელი არბიტრაჟის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად.

უკეთუ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხის ან თანამოპასუხის პასუხისმგებელი წარმომადგენელი და დანიშნულ ვადაში არ წარმოადგინა წარდგენილი საპატიო მიზეზების გარეშე წერილობითი განმარტება სარჩელის გამო და დავის გადაჭრისათვის საჭირო სხვა საბუთები, სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე მოპასუხის ან თანამოპასუხის პასუხისმგებელი წარმომადგენლის დაუსწრებლად, თუ არსებული მასალები საკმარისია გადაწყვეტილების მისაღებად.

მესარჩელის პასუხისმგებელი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სხდომაზე ან ის გარემოება თუ მესარჩელემ საპატიო მიზეზების გარეშე არ წარადგინა არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილი საბუთები, უფლებას აძლევს სახელმწიფო არბიტრაჟს მოსპოს საქმე წარმოებით.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში დავას განიხილავენ სახელმწიფო არბიტრი და მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები. გადაწყვეტილებანი მიღებული იქნება არბიტრაჟის სხდომაზე, დავის ყველა გარემოების განხილვის შედეგების მიხედვით.

თუ მხარეები შეთანხმდნენ, იგი შეიტანება ოქმში და იღებს გადაწყვეტილების ძალას.

მხარეთა შორის უთანხმოების შემთხვევაში, დავის გამო გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო არბიტრი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში დავის განხილვის დროს მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები არიან საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებათა სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები ან მათი მოადგილეები, ხოლო საჭიროების დროს — სხვა მუშაკებიც, რომელთაც ყოველ ცალკე შემთხვევაში ექნებათ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების სათანადო რწმუნებანი.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებანი საბოლოოა და მოყვანილი იქნება სისრულეში თვით მხარეთა მიერ—გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ვადაში.

უკეთუ ბანკს დაწესებულ ვადაში არ წარედგინა დავალება გადაწყვეტილების შესაბამისად გადასახდევინებელი თანხების გადარიცხვის შესახებ ან არ იქნა შესრულებული დანიშნულ ვადაში უფასო სარჩელების გამო გამოტანილი გადაწყვეტილებანი,

არბიტრაჟს შეუძლია მისცეს დაინტერესებულ მხარეს ბრძანება გადაწყვეტილების იძულებითი წესით შესრულების შესახებ და ამავდროულად გადაახდევინოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში იმ მხარეს, რომელსაც არ შეუსრულებია გადაწყვეტილება დანიშნულ ვადაში, ჯარიმა გადაუხდელი თანხის ერთ პროცენტამდე, ხოლო უფასო სარჩელებზე — 1000 მანეთამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება, ბრძანებას იძულებითი შესრულების შესახებ გასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტილებასთან ერთად.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებს აქვთ აღსრულებითი დოკუმენტების ძალა, მათი სისრულეში მოყვანა დადგენილი წესით წარმოებს ბანკის, საფინანსო ორგანოების ან სასამართლო აღმასრულებლების მეშვეობით და შეიძლება წარდგენილ იქნან შესასრულებლად იმ დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, რაც გავიდა არბიტრაჟის მიერ დაწესებული ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბრძანების შესრულება ბანკის, საფინანსო ორგანოს ან სასამართლო აღმასრულებლის მიერ და ამასთან დაკავშირებით იგი დაუბრუნდა განმცხადებელს, ახალი ექვსი თვის ვადა გადაწყვეტილების შესასრულებლად გამოიანგარიშება ბრძანების დაბრუნების დღიდან.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, როდესაც იგი დავის გადაწყვეტის დროს გამოავლენს არსებითს ნაკლოვანებებს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობაში, აცნობებს ამას მათ ხელმძღვანელებს ან ზემდგომ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს, თუ რა ზომები მიიღეს მათ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სხვა ეკონომიურ-ადმინისტრაციულ რაიონებში ან მოკავშირე რესპუბლიკებში, ანდა საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების საპატიო მიზეზების გარეშე შეუსრულებლობის გამოვლინებულ ფაქტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტ-

რაჟი აცნობებს შესაბამის ორგანოებს დამნაშავე პირებზე დისციპ-ლინური სასჯელის დასადებად ან ფულადი დანარიცხის დასაკისრებ-ლად, ხოლო აღნიშნული გეგმებისა და დავალებების საპატიო მი-ზეზების გარეშე არაერთგზის შეუსრულებლობის, აგრეთვე უხა-რისხო და არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მასალებს გაუგზავნის პროკურატურას, რათა გადაიჭრას საკითხი დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესა-ხებ.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმ-წიფო არბიტრაჟში არ უნდა იქნას გადაჭრილი:

ა) დავა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ერთი სამინისტროს, უწყების, კოოპერაციული სისტემის ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის;

ბ) დავა კოლმეურნეობებისა ერთმანეთს შორის, აგრეთვე სახელ-მწიფო საწარმოებთან და დაწესებულებებთან, კოოპერაციულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

გ) დავა გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გამო, რომელთა გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოებს გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინე-ბის დებულების შესაბამისად;

დ) ისეთი დავა ბანკების ოპერაციების გამო, რომლებიც დაკავში-რებულია იმასთან, რომ ბანკებმა განახორციელონ იმისადმი საფი-ნანსო კონტროლი, რათა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწე-სებულებებმა სწორად გამოიყენონ კაპიტალურ დაბანდებათა სახს-რები;

ე) დავა, რომელიც წამოიჭრება პროდუქციის დამზადების ტექ-ნიკური პირობებისა და მისაწოდებელი პროდუქციის სამსახურის საგარანტიო ვადების შეთანხმების დროს;

ვ) დავა მისაწოდებელი პროდუქციის ფასების დაწესების შესა-ხებ, აგრეთვე გაწეული მომსახურებისათვის ტარიფების დაწესების შესახებ, უკეთუ ეს ფასები და ტარიფები მოქმედი კანონმდებლო-ბის თანახმად არ შეიძლება დაწესდეს მხარეთა შეთანხმებით;

ზ) სხვა დავა, რომლის გადაწყვეტა კანონებით ან სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით მიეკუთვნება სხვა ორგანოების გამგებლობას.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს სათავეში უდგას მთავარი არბიტრი.

მთავარ არბიტრს დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი ხელმძღვანელობს არბიტრაჟის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესასრულებლად ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დადგენილებებს და ამოწმებს მათ შესრულებას, დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს აპარატის მუშაკებს.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი დაინტერესებული ორგანიზაციების განცხადებებით ან საკუთარი ინიციატივით შეამოწმებს ზედამხედველობის წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შემოწმების შედეგების მიხედვით მთავარ არბიტრს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს გადაწყვეტილება, მიიღოს საქმის გამო სხვა გადაწყვეტილება, გადასცეს საქმე ხელახლა განსახილველად, მოსპოს საქმე წარმოებით, უარი უთხრას გადაწყვეტილების გადასინჯვაზე და შეაჩეროს გადაწყვეტილების შესრულება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა გადასინჯვა საჭირო შემთხვევებში წარმოებს მხარეების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

19. განცხადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ შეიძლება შეიტანონ დაინტერესებული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ან მათი ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის სახელზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების სისწორის შემოწმების შესახებ განცხადებების შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების შესრულებას.

განცხადებანი გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ იმ საქმეებზე, რომლებსაც სახელმწიფო არბიტრაჟი იხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დავალების წესით, შეიტანება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის სახელზე.

20. სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

იმის უფლება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში აღიძრას საკითხები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, ეკუთვნით მხოლოდ იმ პირებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც უფლება აქვთ უშუალოდ შეიტანონ წინადადებანი ინისტრთა საბჭოში, გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი შეიძლება აღძრულ იქნას იმ დღიდან ერთი თვის ვადაში, რაც გამოტანილია სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან მიღებულია ცნობა მთავარი არბიტრის მიერ გადაწყვეტილების გადასინჯვის შედეგების შესახებ.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი დასახელება.

## 95 გზათა სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთი ნაწილის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში გადაცემის შესახებ

სასწავლო-მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელობის საქმეში პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 24 ოქტომბრის № 1115 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში:

ა) გზათა სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებიც მდებარეობენ ქალაქ თბილისში, ბათუმში, სოხუმში, № 1

დანართის თანახმად, აგრეთვე გზათა სამინისტროს მუშა ახალგაზრდობის სკოლები, რომლებიც მოწყობილია ამ დადგენილების შესაბამისად გადასაცემი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო ბაზაზე, № 2 დანართის თანახმად.

„ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სკოლების გადაცემა დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში და განხორციელდეს იგი 1960 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით.

გადაცემულ უნდა იქნას გადასაცემი სკოლების მიერ ამჟამად დაკავებული სასწავლო შენობები და სხვა სადგომები, აგრეთვე ამ სკოლების სასწავლო-საწარმოო ბაზა.

განათლების სამინისტრომ უსასყიდლოდ დაუთმოს გადასაცემი სკოლების შესაბამისი სადგომები: თბილისის № 3, სოხუმის № 8 და ბათუმის № 25 სკოლებისა — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის საკონსულტაციო პუნქტებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან ერთად, არა უგვიანეს 1960 წლის 10 დეკემბრისა წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებანი და წინადადებანი იმის შესახებ, რომ გზათა სამინისტროს სკოლების გადაცემასთან დაკავშირებით, შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი შრომის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სასკოლო მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებში, აგრეთვე 1961 წლის საბიუჯეტო ასიგნობებში.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა სისტემატური დახმარება გაუწიონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გზათა სამინისტროს გამგებლობაში დარჩენილი სკოლების ინსპექტირებისა და ამ სკოლებში მეთოდური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების გაუმჯობესების მხრივ.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 24 ოქტომბრის № 1115 დადგენილებით:

ა) გზათა სამინისტროს გამგებლობაში დატოვებულია მის მიერ საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილი ყველა სკოლა-ინტერნატი და სკოლა, რომლებსაც აქვთ საერთო საცხოვრებლები რკინიგზელთა მოსწავლე ბავშვებისათვის;

ბ) გზათა სამინისტროს მინიჭებული აქვს უფლება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის ფინანსთა

სამინისტროსთან შეთანხმებით დამატებით გადასცეს შემდეგში მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მათ შესანახად საჭირო შესაბამისი ასიგნობებით;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების გამგებლობაში გადასაცემი სკოლების დაფინანსებას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, მათი გადაცემის ვადების დამოუკიდებლად, განახორციელებს 1960 წლის დამლევამდე გზათა სამინისტრო;

დ) შენარჩუნებულია სახაზო სადგურებსა და ასაქცევებზე მცხოვრებ მოსწავლეთა უფასო მგზავრობა რკინიგზით სახლიდან სკოლამდე და უკან, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში სპეციალური მატარებლები ბავშვების მისაყვანად სკოლაში;

ე) გადასაცემი სკოლების მასწავლებლებს შეუნარჩუნდებათ ის ბინები, რომლებიც მათ გზათა სამინისტროს სახლებში უკავიათ;

ვ) გზათა სამინისტროს დაევალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გადასცეს მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის განათლების სამინსტროებს რკინიგზების სამმართველოების სასწავლებლების განყოფილებათა მუშაკების საშტატო რიცხვი, რომელიც ამ დადგენილებასთან დაკავშირებით თავისუფლდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 3 დეკემბერი № 815

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 3 დეკემბრის № 815
დადგენილების დანართი № 1

**ს ი ა**

**გზათა სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, რომლებიც მდებარეობენ ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში და რომლებიც გადაცემულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში**

ქ. თბილისი

საშუალო სკოლა № 1
საშუალო სკოლა № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლა № 3
საშუალო სკოლა № 4
საშუალო სკოლა № 5
საშუალო სკოლა № 6
საშუალო სკოლა № 10

ქ. სოხუმი

საშუალო სკოლა № 8

ქ. ბათუმი

საშუალო სკოლა № 25

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 3 დეკემბრის № 815
დადგენილების დანართი № 2

## ს ი ა
## გზათა სამინისტროს მუშა-ახალგაზრდობის სკოლებისა, რომლებიც გადაცემულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამგებლობაში

ქ. თბილისი

მუშა-ახალგაზრდობის სკოლა № 8
მუშა-ახალგაზრდობის სკოლა № 11

ქ. სოხუმი

მუშა-ახალგაზრდობის სკოლა № 12

ქ. ბათუმი

მუშა-ახალგაზრდობის სკოლა № 6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**96** სამარშრუტო მსუბუქი ტაქსმოტორებით მგზავრობის ტარიფე-
ბის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას 1961 წლის 1 იანვრიდან სამარშრუტო საქალაქო, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მსუბუქი ტაქსმოტორებით მგზავრობის ტარიფები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 3 დეკემბერი № 816

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 3 დეკემბრის № 816
დადგენილების დანართი

# ზონობრივი ტარიფი

## სამარშრუტო მსუბუქი ავტომობილებით მგზავრობისა

| ზონე-ბი | მანძილი | მგზავრობა საქალაქო, საგარეუბნო და შიგარესპუბლიკური მარშრუტებით მან. კაპ. | მგზავრობა სარესპუბლიკათაშორისო მარშრუტებით სადაზღვევო გადასახადის ჩათვლით მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| 1 | 1— 5 | 0 — 10 | 0—13 |
| 2 | 6— 10 | 0 — 25 | 0—38 |
| 3 | 11— 15 | 0 — 40 | 0—68 |
| 4 | 16— 20 | 0 — 55 | 0—88 |
| 5 | 21— 25 | 0 — 70 | 1—08 |
| 6 | 26— 30 | 0 — 85 | 1—28 |
| 7 | 31— 35 | 1 — 00 | 1—48 |
| 8 | 36— 40 | 1 — 15 | 1—68 |
| 9 | 41— 45 | 1 — 30 | 1—88 |
| 10 | 46— 50 | 1 — 45 | 2—08 |
| 11 | 51— 60 | 1 — 70 | 2—28 |
| 12 | 61— 70 | 2 — 00 | 2—58 |
| 13 | 71— 80 | 2 — 30 | 2—95 |
| 14 | 81— 90 | 2 — 60 | 3—25 |
| 15 | 91—100 | 2 — 90 | 3—55 |
| 16 | 101—110 | 3 — 20 | 3—85 |
| 17 | 111—120 | 3 — 50 | 4—15 |
| 18 | 121—130 | 3 — 80 | 4—45 |
| 19 | 131—140 | 4 — 10 | 4—75 |
| 20 | 141—150 | 4 — 40 | 5—05 |
| 21 | 151—165 | 4 — 75 | 5—45 |
| 22 | 166—180 | 5 — 20 | 5—75 |
| 23 | 181—195 | 5 — 60 | 6—05 |
| 24 | 196—210 | 6 — 00 | 6—35 |
| 25 | 211—225 | 6 — 40 | 6—65 |
| 26 | 226—240 | 6 — 70 | 6—95 |
| 27 | 241—256 | 7 — 00 | 7—25 |
| 28 | 257—270 | 7 — 30 | 7—55 |
| 29 | 271—285 | 7 — 60 | 7—85 |
| 30 | 286—300 | 7 — 90 | 8—15 |
| 31 | 301—320 | 8 — 20 | 8—45 |
| 32 | 321—340 | 8 — 50 | 8—75 |
| 33 | 341—360 | 8 — 70 | 8—95 |
| 34 | 361—380 | 8 — 90 | 9—15 |
| 35 | 381—400 | 9 — 10 | 9—35 |
| 36 | 401—420 | 9 — 30 | 9—55 |
| 37 | 421—440 | 9 — 50 | 9—75 |
| 38 | 441—460 | 9 — 70 | 9—95 |
| 39 | 461—480 | 9 — 90 | 10—15 |
| 40 | 481—500 | 10 — 00 | 10—25 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

## 97 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 ოქტომბრის № 1087 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გავრცელდეს საწარმოო სწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეებზე საწარმოო სწავლების დარგში, აგრეთვე ამ სკოლებისა და საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაუსწრებელი განყოფილებების გამგეებზე შეღავათები და უპირატესობანი, საპენსიო უზრუნველყოფის წესი, მორიგი შვებულების ხანგრძლიობა, რაც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით დაწესებულია საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გაითვალისწინოს იმ რვაწლიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხარჯთაღრიცხვებით, სადაც 10 კლას-კომპლექტზე ნაკლებია, ასიგნობანი სასკოლო წრეების ხელმძღვანელთა შრომის ასანაზღაურებლად საშუალოდ ერთ სკოლაზე მასწავლებლის შესაბამისი განაკვეთის მეოთხედის რაოდენობით.

3. დაწესდეს თანამდებობრივი განაკვეთები საწარმოო სწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების სასკოლო და სკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გამგისა, აგრეთვე ამ სკოლების და საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაუსწრებელი განყოფილებების მეთოდისტებისა შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| სახელოსნოების გამგისა | 800—900 მანეთი თვეში |
| დაუსწრებელი განყოფილების მეთოდისტისა | 500 „ „ |

4. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, რომელთაც აქვთ პროდუქციის რეალიზაციისაგან წლიური შემოსავალი 50 ათასი მანეთი და მეტი, დაწესდეს ბუღალტრის თანამდებობა თვეში 550 მანეთის განაკვეთით, ხოლო სახალხო განათლების ორგანოებისადმი დაქვემდებარებული სკოლების ან სხვა დაწესებულებების საანგარიშო დარგის მუშაკებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება იმ სასკოლო და სკოლათშორისო სახელოსნოებში, რომლებსაც პროდუქციის რეალიზაციისაგან აქვთ წლიური შემოსავალი 50 ათას მანეთზე ნაკლები,—თანამდებობრივი განაკვეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუდიდდეთ 150 მანეთით თვეში. ბუღალტრის ხელფასის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნას სახელოსნოების შემოსავლის ანგარიშში.

5. დაუწესდეთ თანამდებობრივი განაკვეთები რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეურნეობის გამგეებს თვეში 500 მანეთი და ამ სკოლების დირექტორების თანაშემწეებს სამეურნეო ნაწილში — 700 მანეთი თვეში, თუ ისინი მომსახურებას უწევენ საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სადაც კლასების რიცხვი 10-დან 20-მდე და მეურნეობის გამგეებს—550 მანეთი და დირექტორების თანაშემწეებს სამეურნეო ნაწილში—750 მანეთი თვეში, თუ ისინი მომსახურებას უწევენ საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სადაც კლასების რიცხვი 20-ზე მეტია.

6. სკოლების მუშაკებს (მათ შორის მასწავლებლებს), რომლებსაც დაკისრებული აქვთ დაუსწრებელ განყოფილებათა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეების მოვალეობის შესრულება, თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (ხოლო მასწავლებლებს — თვიური ხელფასი) გაუდიდდებათ 100 მანეთით, თუ მათ ჰყავთ 60—100 დაუსწრებლად მოსწავლე და 150 მანეთით, თუ დაუსწრებლად მოსწავლეთა რიცხვი 100 კაცს აღემატება.

7. დაწესდეს, რომ მასწავლებელთა თვიური ხელფასი და სკოლის სხვა მუშაკთა თვიური თანამდებობრივი განაკვეთები გადიდდება:

ა) საქმისწარმოებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისათვის საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც კლასების რიცხვი 5-დან 10-მდეა—150 მანეთით და სადაც კლასების რიცხვი 10-დან 14-მდეა—200 მანეთით;

ბ) საქმისწარმოებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისათვის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებზე, სადაც დაუსწრებლად მოსწავლეთა რიცხვი 200-მდეა—100 მანეთით და სადაც დაუსწრებლად მოსწავლეთა რიცხვი 200 კაცს აღემატება — 150 მანეთით თვეში;

გ) საბიბლიოთეკო მუშაობის წარმოებისათვის საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში — 75 მაენთით თვეში (თუ სკოლაში არის სულ ცოტა 80 მოსწავლე და მოიპოვება სულ ცოტა 750 წიგნი).

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლების ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის რაოდე-

ნობის შემცირებას რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობებში მოთავსებული საღამოს (ცვლების) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამოუკიდებელ თანამდებობათა გაუქმებასთან დაკავშირებით, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ამ დადგენილებით დაწესებული შრომის ანაზღაურების პირობების შემოღება ისე, რომ არ იქნას გადიდებული განათლების მუშაკთა ხელფასის ფონდი, რაც სამინისტროს ბიუჯეტითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 1960 წლისათვის.

9. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ტიპური შტატების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 19 მაისის № 348 დადგენილების:

დანართი № 6 იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს გამგის შრომის ანაზღაურებას;

№ 6 დანართის მუხლი 2, № 5 დანართის მუხლები 4 და 6, № 7 დანართის მუხლი 3.

გაუქმდეს აღნიშნული დადგენილების № 5 დანართით გათვალისწინებული თანამდებობა საქმისმწარმოებელ-მემანქანისა, აგრეთვე № 7 დანართით გათვალისწინებული თანამდებობანი საქმისმწარმოებელ-მემანქანისა და ბუღალტრისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 3 დეკემბერი № 822

## 98 ქ. თბილისის და მისი გარეუბნის ზონის დაგეგმვისა და განაშენიანების საკითხები

აღინიშნოს, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ქალაქ თბილისის დაგეგმვის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის დარგში. სახელმწიფო საბინაო მშენებლობა

თავმოყრილია დიდ მასივებში (საბურთალოს, ნავთლუღისა და დიღო-მის რაიონებში) და ხორციელდება დეტალური დაგეგმვისა და განა-შენიანების სპეციალურად დამუშავებული პროექტების მიხედვით წარმოებს ღრმაღელის, ვაკის, საბურთალოს რაიონების, მდინარე მტკვრის სანაპიროს ცალკეული უბნების რეკონსტრუქცია და კე-თილმოწყობა. დიდი მუშაობა მიმდინარეობს ქალაქის ტერიტორიის გამწვანებისა და მთის ფერდობების გატყიანებისათვის.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი თბილისში ქალაქმშენებლობის სამუშაოთა გაუმჯობესებისა და უფრო მიზან-შეწონილად დაგეგმვისათვის.

არ არის შედგენილი ქ. თბილისის დაგეგმვის საპროექტო-სა-ძიებო სამუშაოთა შეიდწლიანი გეგმა, არ მოიპოვება შესრულებული პროექტების ზუსტი და დეტალური აღრიცხვა.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ქ. თბილისში პირველი რი-გის მშენებლობის განლაგების 1958—1960 წლების გეგმის შედგენა; გაჭიანურდა ანალოგიური მუშაობა 1960—1965 წლების საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის მიმართ.

ჩამორჩენილია მშენებლობის პირველი რიგის რაიონების, გან-საკუთრებით ნავთლუღის, ღრმაღელის და ავჭალის სამრეწველო რაიონების, დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება.

ქალაქ თბილისის და მისი გარეუბნის ზონის დაგეგმვისა და გა-ნაშენიანების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრ-თა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) ქ. თბილისში და გარეუბნის ზონაში ყოველგვარი სახის მშე-ნებლობის განხორციელების დროს მტკიცედ იხელმძღვანელოს გე-ნერალური გეგმით, როგორც სახელმწიფო დოკუმენტით, რომელიც სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და მეწარმეობისათვის.

დამტკიცებულ გენერალურ გეგმაში, პირველი რიგის მშენებლო-ბის განლაგების გეგმასა და დეტალური დაგეგმვის პროექტებში ცვლილებების შეტანა შეიძლება მხოლოდ დამამტკიცებელი ინსტან-ციის ნებართვით;

ბ) მიმდინარე წლის დამლევამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს ქ. თბილისის და მისი გა-რეუბნის ზონის დაგეგმვის 1961—1965 წლების საპროექტო-საძიე-ბო სამუშაოთა გეგმა;

გ) დააჩქაროს ქ. თბილისში საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის განაწილების 1961—1965 წლების გეგმის შემუშავება და არა უგვიანეს 1960 წლის 20 დეკემბრისა წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დ) 1961 წლის დამლევამდე შეიმუშაოს თბილისის ზღვის ნაპირების დაგეგმვისა და კეთილმოწყობის პროექტი, წინათ შემუშავებული პროექტების გამოყენებით, ამასთან დააწესოს ამ ტერიტორიის მშენებლობისა და ათვისების რიგითობა;

ე) ჩაატაროს ქალაქ თბილისის დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების უკანასკნელ წლებში შემუშავებული ყველა პროექტის ინვენტარიზაცია და თავი მოუყაროს მათ მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილებაში, ამასთან დაავალოს მას მიმდინარე წლის დამლევამდე წარუდგინოს აღნიშნული პროექტები განსახილველად საქართველოს სსრ სახმშენს.

დადგინდეს წესი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების ყველა პროექტის განხილვას და დამტკიცებას საქართველოს სსრ სახმშენის მიერ;

ვ) გააძლიეროს კადრებით თბილქალაქპროექტის არქიტექტურულ-საგეგმო სახელოსნო, ამასთან იქონიოს მხედველობაში რომ საჭიროა მისი სამუშაოების გადიდება უახლოეს წლებში;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გარეუბნის კურორტების—კოჯრის, კიკეთის, მანგლისისა და სხვების განვითარებას და კეთილმოწყობას, რისთვისაც უახლოესი 3 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ისინი ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და საპროექტო საგეგმო მასალებით;

თ) 1962 წელს დაამთავროს ქ. თბილისის აერო-ფოტოგადაღების სამუშაოები;

ი) 1961 წლის 1 აპრილამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს პროექტი ქ. თბილისის გარეუბნის ზონის ფარგლებისა და 1961 წლის დამლევამდე—მისი დაგეგმვის პროექტი იმის გათვალისწინებით, რომ მოეწყოს ამ ზონაში დიდი მწვანე მასივები და მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილები;

კ) ქ. თბილისის და მისი გარეუბნის ზონის დაგეგმვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაფინანსება აწარმოოს იმ თანხის ფარგლებში, რაც 1961 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქ. თბილისისათვის.

2. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილოს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით ქალაქის მშენებლობის საჭიროებისათვის ქალაქის მიწების უფრო მიზანშეწონილად გამოყენების საკითხი, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა გადატანილ იქნას უახლოეს წლებში ქალაქის განაშენიანებული ნაწილის ფარგლებს მიღმა დამხმარე მეურნეობანი, ქალაქგარეთა მნიშვნელობის საწყობები, კარიერები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სხვადასხვა პოლიგონები, გარაჟები, სამასალე ეზოები, სასწავლო მინდვრები და ა. შ., აგრეთვე საჭიროა იმ ტერიტორიების ჩამორთმევა, რომლებსაც ვერ იყენებენ სამრეწველო საწარმოები და საწყობები, და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 აპრილისათვის.

3. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ქ. თბილისის სანიტარული მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესება უახლოეს წლებში, რისთვისაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილონ საკითხი, რომ თანდათან იქნას გადატანილი საცხოვრებელი განაშენიანების ზონებიდან სანიტარული მხრივ მავნე საწარმოები, რომ შეძლებისდაგვარად შეიცვალოს მათი საწარმოო პროფილი, თანდათანობით გაყვანილ იქნას სანიტარული დაცვის ზონებიდან საბავშვო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სპორტული დაწესებულებანი და ამ ზონებში მცხოვრები მოსახლეობა, და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 ივნისისათვის.

4. დაპროექტების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს მოეწყოს კონკურსები საცხოვრებელი რაიონების, მიკრორაიონებისა და გამსხვილებული კვარტალების, საქალაქო და რაიონული ცენტრების მთავარი ქუჩების და მაგისტრალების განაშენიანების და კეთილმოწყობის პროექტების შედგენაზე.

5. სამგორის რაიონის დაგეგმვის, განაშენიანების და კეთილმოწყობის საქმისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად პროექტი ბრძანებულებისა სამგორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების შექმნის შესახებ.

სამგორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილება

შეიქმნება ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დამტკიცებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბიუჯეტით.

6. აეკრძალოს რესპუბლიკის ყველა საპროექტო ორგანიზაციას ქ. თბილისში საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამოქალაქო მშენებლობის სხვა ობიექტების დაპროექტების შეკვეთების მიღება დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან.

დაწესდეს, რომ ამ ობიექტების დაპროექტებას უნდა ეწეოდეს მხოლოდ საპროექტო ინსტიტუტი—თბილქალაქპროექტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1960 წ. 13 დეკემბერი № 838

## 99 საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა შრომითი მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმე დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცნობებით, 1960 წლის 1 ოქტომბრისათვის მესამე ჯგუფის არამომუშავე ინვალიდთა რაოდენობა შეადგენდა 27,8 ათას კაცს მაშინ, როდესაც ამ ჯგუფის ინვალიდთა საერთო რიცხვი 73,8 ათას კაცს უდრის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შეასუსტეს ყურადღება ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმისადმი.

ინვალიდები საკმაოდ არ არიან ჩაბმული საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმო-ებსა და პროფესიულ სკოლებში.

უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოებების ბევრი საწარმოო საამქრო ჯერ კიდევ მოთავსებულია სარდაფებში და ინვალიდთა მუშაობისათვის სრულიად შეუფერებელ სადგომებში ასეთსავე პირობებშია სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავ-ლო საწარმოები და საერთო საცხოვრებლები ქალაქ თბილისსა და ქუთაისში.

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმე, აგრეთვე, რომ მათ შეისწავლონ ახალი პროფესიები, რომლე-ბიც მისაწვდომია მათთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედ-ვით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლი-კურ საბჭოსთან ერთად, შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ პროფესიე-ბის ნუსხა, რომლებიც რეკომენდებულია ინვალიდთა შრომითი მო-წყობისათვის.

2. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სა-მინისტროებსა და უწყებებს პირველ რიგში მოაწყონ სამუშაოდ ინ-ვალიდები საწარმოებსა და მშენებლობებზე პროფესიების მიხედ-ვით, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტ-როს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბ-ჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხის თანახმად, მშრომელთა დეპუტა-ტების საქალაქო და რაიონული საბჭოების მიმართვებით.

3. დაეკისროთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, ორგანიზაციებისა და მშენებლობების ხელმძღვანე-ლებს იმ ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმე, რომლებიც ინვა-ლიდები გახდნენ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში და მშე-ნებლობაზე მუშაობის დროს, უკეთუ მათ ექნებათ თანამდებობანი და პროფესიები, რომლებიც ამ ინვალიდებისათვის რეკომენდებუ-ლია საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ.

4. დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მოაწყონ საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა ძალებითა და სახსრებით მასობრივი პროფესიების კადრების მომზადება-გადამზადების დაწესებული გეგმის ანგა-რიშში მესამე ჯგუფის ინვალიდებისათვის ისეთი პროფესიების

სწავლება, რომლებიც დამტკიცებულია შრომის სახეობათა ნუსხით და მისაწვდომია ინვალიდებისათვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

5. დაევალოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად, შეისწავლოს საკითხი და ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს 1961 წელს სპეციალიზებული საწარმოები და საამქროები საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების რეკომენდაციებით იმ პირთა შრომითი მოწყობისათვის, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ტუბერკულოზის, ნერვულ, გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა შედეგად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, 1961 წლიდან დაწყებული, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარდგენით, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გეგმები ინვალიდთა შრომითი მოწყობისა საქართველოს სსრ საწარმოებსა, მშენებლობებსა და ორგანიზაციებში, ინვალიდებისათვის მისაწვდომ შრომის სახეობათა ნუსხის შესაბამისად.

7. ნება დაერთოთ საქართველოს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოებების პრეზიდიუმებს იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად ჩააბან უსინათლოთა და ყრუმუნჯთა კონტინგენტი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, გააფართოონ თავიანთი წარმოებანი იმ ოდენობამდე, რაც სავსებით უზრუნველყოფს ინვალიდთა — უსინათლოთა და ყრუმუნჯთა შრომითს მოწყობას.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოებებთან ერთად, განსაზღვროს 1961 წლისათვის ამ საზოგადოებათა წარმოების, კაპიტალური მშენებლობის და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოცულობა, ამასთან იქონიოს მხედველობაში უსინათლოთა და ყრუმუნჯთა დამატებითი რაოდენობის შრომითი მოწყობა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეასწავლოს სამამულო ომისა და შრომის ინვალიდების გარდა, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდებს ისეთი პროფესიები, რაც მისაწვდომია მათთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინონ კაპიტალურ სამუშაოთა 1962 წლის გეგმით 2 პროფტექნიკური სკოლის მშენებლობა: ქ. ქუთაისში — 100 კაცისათვის და ქ. თბილისში — 200 კაცისათვის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის სასწავლო საწარმოს ბაზაზე.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემატურად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაქაძე.

ქ. თბილისი, 1960 წ. 15 დეკემბერი № 858

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 30 მან.

(1961 წლის 1 იანვრიდან—3 მან.)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 39